ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3977795

ნომერი: AR1601599

თარიღი : 17.05.2018

გაცემის თარიღი : 24.05.2018

გაცნობის თარიღი : 28.05.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანი-დიღმის შემაერთებელ გზაზე , ავტობაზრობის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , დიღომი-გლდანის შემაერთებელ გზაზე, შ.პ.ს. "გრანდი"-სათვის დამაგრებული ტერიტორიის მიმდებარედ, (ნაკვეთი N4/91);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ასლან კვანტალიანი პ/ნ 01007003087
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. N 34 ბ. 10

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ასევე სამსახურში არსებული მასალის მიხედვით ვერ ირკვევა არსებული ღობის (რაზეც გსურთ სარეკლამო აბრის განთავსება) კანონიერების საკითხი, არსებული კანონმდებლობის მიხედვით უკანონო მშენებლობის შემდგომ განვითარებაზე სამსახური ნებართვას ვერ გასცემს, იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა წარმოადგინოთ არსებული ღობის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტი. ამასთან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ ამავე ობიექტზე გაცემულია მითითება #002582 12.06.2017 წ., ასეთ შემთხვევაში, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის წარმოდგენის შემდეგ ან წინააღმდეგ შემთხვევაში სარეკლამო აბრები ამოღებულ იქნას ფოტომონტაჟიდან.

რაც შეეხება შესასვლელთან განთავსებულ სარეკლამო აბრას, აღნიშნულის განხორციელება სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია, თუმცა დამატებით წარმოსადგენი იქნება საკადასტრო გეგმა საპროექტო სარეკლამო აბრის განთავსების ადგილის დატანით, ასევე ფოტომონტაჟზე უნდა დაიტანოთ მასალა.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.